ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №52

1 დეკემბერი 2016 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ, **„ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“**, ცენტრის დირექტორის **ზეინაბ ბურჯანაძის** სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №15, ტელ: 27-34-30), (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „დაიმერი“** წარმოდგენილი დირექტორის ვალერიან ფურცხვანიძის სახით (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქ.#9 ტელ: 0 431 23 93 29) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ქალაქ ქუთაისის „ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-სათვის სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო და საოფისე ნივთების მოწოდების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება: 429,80 (ოთხას ოცდაცხრა და 80) ლარი.

1.3.კლასიფიკატორის კოდი: 19500000, 22800000, 30100000, 30200000.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან „ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებულ საქონელზე კონტროლს განახორციელებს, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მოწოდება.

3. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს საქონლის მოწოდებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე.

4.1 მიმწოდებლის მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მოცულობა და ღირებულება.

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.

4.3 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2016 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება და რაოდენობა.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას მოახდენს ქალაქ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრუზლების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

14. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ააიპ ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი
მის: ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #15

მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში

ქ.თბილისი, „ სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ: TRESGE22
ს/კოდი: 212904712

ააიპ ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის
დირექტორი

ზ.ბურჯანაძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „დაიმერი“

მის: ქ.ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №9
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა:GE31TB0300000041467950
ს/კოდი:212834806

შ.პ.ს. „დაიმერი“-ს

დირექტორი

ვ.ფურცხვანიძე